№ 147 ивлисі 14, ѯамшабаѳі

„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

1892

ивлисі 14, ѯамшабаѳі № 147

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГАЗЕТИ ЦИРА

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—კრონი შაური

ИВЕРІЯ

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდავ უნდა მიეშართონ: თბილისს რედაქციას, ეკუიაში, ავეშალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამგავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიის, სთავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

მარიამ ქალიხოსროს ასული ლორთქიფანიძის გარდაცვალების მეორმოცე დღეს შუბამელნი მისნი, კოლეგსკი სოვეტნიკი **ქალიხოსრო დავითის ძე ლორთქიფანიძე** და მეუღლე მისი **ანნა ნიკოლოზოზის ასული**, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პანაშვიდზედ თვრამეტსა ამა ივლისს, შაბათს, დილის ცხრა საათზედ, ქაშუეთის წმიდის გიორგის ეკკლესიაში სოფელს დიდ-ჯიხაიშში, ქუთაისის მაზრაში (1—1)

„ИВЕРІЯ“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზოს ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებია უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცნობებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მეგებელ იქნება მარტო იმ სელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკეთებისათვის შესახედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშიე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით უცხადებს ამა ბანკის ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთ, რომ, წესდების მე-82 §-ის საფუძვლით, ამა ივლისის 26 რიცხვისათვის, დილის 9 საათზედ, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება.

განსახილველი საგანი:

ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, რომ 12,000 მანეთი გადაიდოს ხოლერასთან საბრძოლველად ტფილისის გუბერნიის სოფლის მკვიდრთა უზრუნველ-საყოფელად.

(3—1)

ტფილისის ქალაქის თავისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობაში მიიღება შესწავლარი, რათა შემწეობა ადმოჩინოთ იმ კაცთა გაჭირვებულ ოჯახობათა, რომელნიც ხოლერით იმეოფებიან ავად და ან ამ სენით გარდაცვლილან. შეგრებილი ფული განაწილებული იქნება გაჭირვებულთა შორის, საჭიროებისა თანახმად, როგორც ფულად, ისე ნივთიერად, ქალაქის თავის ხელმძღვანელობით სასანიტარო დასების მიერ. (3—2)

ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში, 10 ივლისს, ხოლერით ავადმყოფი იყო 20 კაცი და 5 ქალი. იმავე დღეს კიდევ მიიყვანეს: ერთი კაცი—ივანუშკინი (9 ნაწილი, არსენალის აღმართი, იურკოვის სახლი) და ერთი ქალი—ლუკაშევიჩისა (9 ნაწილი, უსახელო ქუჩა, № 20). მორჩა: ოგანოვი და კასპარ-ოღლი და ერთი ქალი—თუმასოვისა. გარდაიცვალა: ორი კაცი—ოგოროდნიკოვი და ალიაარ-ოღლი და ერთი ქალი—კურჩესკაია; იმავე ღამეს მიიყვანეს ერთი ქალი—მარიამ დანიელიანცისა (7 ნაწილი, ავლაბარი, პოლოსოვის სახლი); იმავე ღამეს გარდაიცვალა ერთი ქალი—ლუკაშევიჩისა; 11 ივლისს დილით მიხეილის სამკურნალოში იყო 17 კაცი და 4 ქალი.

სამკურნალოს გარეშე 9 ივლისს ხოლერით ავად გახდნენ: ბენზას გუბერნიის გლეხი უმარ რიგაზოვი (დესიმონოვის ქუჩა, სკოროხოდოვის სახლი). ტფილისის სამხედრო სამკურნალოში გაჰგზავნეს: ნადეჟდას სახელობაზედ დაარსებულ თავ-შესაფარიდგან პავლე ვიჩორნოვი და ერთი ქალი, ანნა ლოკტუშინისა. ავად გახდნენ და შინა სწამლობენ: კონო სარქისას ძე სარქისოვი (8 ნაწილი, სურბ-კარაპეტის ხევი, საკუთარი სახლი), სოფიო ლალოიანცისა (7 ნაწილი, 2 ლინეინის ქუჩა, № 19); 9 ივლისს გარდაიცვალა მატრინონა ანდრიას ასული ჩეკერდოვისა; 10 ივლისს ავად გახდნენ და შინა სწამლობენ: სათადარიგო ჯარის-კაცი პეტრე ივანეს ძე ივანუშკინი (9 ნაწილი, არსენალის ქუჩა, იურკოვის სახლი), სოფიო დანელიანცისა (7 ნაწილი, ოზეროვსკის ქუჩა, სახლი № 15), ივანე სურკოვი (ნავთლული, მელიქოვის სახლი), ანტონ ყაითმაზოვი (7 ნაწილი, ხოჯივანქის ქუჩა, № 14), რიხინ მოსეს ასული პეისახოვიჩისა (8 ნაწილი, ახალი არსენალის ქუჩა, სკვარცოვის სახლი), სოფიო აკოფჯანოვისა (3 ნაწილი, ვანქის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი), გეორგ ავეტისოვი (ივიდე პაპოვი) ნავთლულში, ნინა გამაზოვისა (10 ნაწილი).

კასპის სადგურში 10 ივლისს ხოლერით ავად გახდა უფროსი მუშა ნაბაშვილი. ავადმყოფი ტფილისში ჩამოიყვანეს.

გორის მაზრის სოფ. სასირეთში 7 ივლისს ხოლერით ავად გახდა ტფილისიდგან მისული, გლეხის ცოლი ბეეტაშვილისა.

ბორჩალოს მაზრის სოფელ იმერში ხოლერით გარდაიცვალა 2 და ავად გახდა 5.

თიონეთის მაზრის სოფ. იუეგაურთში 9 ივლისს ხოლერით გარდაიცვალა ერთი გლეხის ცოლი. დედისაგან ხოლერა გადაეცა იმის ქალსაც. ბორჩალოს მაზრის სოფ. ეკატერინენფელდში ხოლერით ავად გახდა ამ სოფლის მცხოვრები იოსებ გეტნერი და მეორე დღესვე გარდაიცვალა; იმავე სოფელში ავად გახდა არუთინ სარქისოვი, რომელიც ეხლა უკეთ არის. ავადმყოფთა სადგურებში დეზინფექცია მოახდინეს.

9 ივლისს ავად გამხდარი ფრიდრიჰ როლლოვი უკვე რჩება.

9 ივლისს სამკურნალოში გაგზავნილი ვასილ ალექსეევი მთვრალი აღმოჩნდა და თავის სახლში დააბრუნეს.

11 ივლისს, დილით, მიხეილის სამკურნალოში იყო: 17 კაცი და 4 ქალი. იმავე დღეს მიიყვანეს 3 კაცი: ნიკიფოროვი, განჯიდგან ჩამოსული (1 ნაწილი, ვერის სასტუმრო), მაკაროვი (9 ნაწილი, მარტყოფის ქუჩა, ტერ-მიქელოვის სახლი) და სოთონიკე მებადიშვილი (6 ნაწილი, საბოტანიკო ქუჩა) და 6 ქალი: სადათოვისა (5 ნაწილი, მუხრანსკის ქუჩა, სახლი ხოსროევისა); ლაფშინოვისა (10 ნაწილი, ავეშალის ქუჩა, მიშელოვსკის სახლში), ლუკაშევიჩისა (9 ნაწილი, უსახელო ქუჩა № 20), სტეფანაშვილი (3 ნაწილი, ვანქის ვიწრო ქუჩა, ასატუროვის სახლი), მელანია მებადიშვილი (6 ნაწილი, საბატანიკო ქუჩა, № 6) და ტერეზია ვაშალომიძე (1 ნაწილი, არტილერიის ბაღკა, ლომიძეს სახლი). მორჩა ერთი კაცი—შავშიშვილი; გარდაიცვალა 11 ივლისს: 1 კაცი—ტრიასკოვი და 1 ქალი—ლაფშინოვისა. 12 ივლისის წინა-ღამეს მიიყვანეს 5 კაცი: როსსიაკი—ადელხანოვის ქარხანიდგან თავის სახლში მიდენილა და კალიუჩი ბალკის ქუჩაზედ დაცემული, კოლესნიკოვი (9 ნაწილი, ყაზარმების ახლო, ტრიასკოკის სახლი), სამოდეროვი (8 ნაწილი, რიყე, საკუთარი სახლი), ილოვენკო (9 ნაწილი, დოლანგოვის ქარხანა) და ავექოვი, ბათუმიდგან ჩამოსული, და ერთიც ქალი—გავრილოვისა (8 ნაწილი, რიყე, ახნაზაროვის სახლი). 12 ივლისს დილით სამკურნალოში იყო 23 კაცი და 10 ქალი.

სამკურნალოს გარეშე ავად არიან: ეკატერინე შმატკოვისა, რომელიც იმერ-კასპიის მხრიდგან ჩამოვიდა და 8 ივლისს გახდა ავად (მალანგების ქუჩა, № 7), ზაქარ კლიმენტიევი (10 ივლისს გახდა ავად, ავეშალის ქუჩა, № 82) და იმავე დღეს ავად გამხდარი გიორგი კარახანოვი (ანტეის ვიწრო ქუჩა, ახნაზაროვის სახლი).

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 9 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს 7, გარდაიცვალა 9, მორჩა 10. ავად არის 99, სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 16, გუბერნიაში ავად გახდა 216, გარდაიცვალა 98, მორჩა 90. ბაქოს სამხედრო სამკურნალოში მიიყვანეს 1, მორჩა 2, ავად არის 28. ბაქოს სანატორიუმში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, მორჩა 2, ავად არის 11.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება: 9 ივლისს ნახიჩევანში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა, 2.

*** ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება, რომ ზაქათალის ოლქში ხოლერით გარდაცვლილა: სოფელ კატეხში 7 ივლისს 1 მკვიდრი და სოფ. ტალში 9 ივლისს ერთი მესული და 10 ივლისს ერთი მკვიდრი მცხოვრები.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 9 ივლისს შუშაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1. პეტროვსკში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2; ოლქებში ავად გახდა 203, გარდაიცვალა 97, მორჩა 35; ავად არის: შურაში 2, პეტროვსკში 13; ოლქებში: კირორინსაში—132, კაიტაგოტაბასარანსაში—102, სამურასაში—54. დარგინსაში—42, ყაზიკუმუხიანში—27, თემირხან-შურის ოლქში—104 და გუნიბის ოლქში 1.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 9 ივლისს შუშაში ავად გახდა 9, მორჩა 2, გარდაიცვალა 3, ავად არის 21; მაზრაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 16, ავად არის 6; ყაზახის მაზრაში გარდაიცვალა 2, ავად არის 1; განჯაში ავად გახდა 33, მორჩა 91, გარდაიცვალა 13, ავად არის 22; მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 4, მორჩა 2, ავად არის 11; ნუხაში ავად გახდა 23, მორჩა 1, გარდაიცვალა 14, ავად არის 14; ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა 17, მორჩა 9, გარდაიცვალა 11, ავად არის 11; ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 28, მორჩა 6, გარდაიცვალა 6, ავად არის 17. მთელს გუბერნიაში 96 ავადმყოფია.

*** ოფიციალურ ცნობებით ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 12 ივლისამდე მიუყვანიათ 115 ხოლერით ავადმყოფი.

*** კვირას, 12 ივლისს, ალექსანდრეს ბაღში გაიმართა უფასო საჩაიე. საჩაიეში უფასოდ აძლევენ მსურველთ: ჩაის, ადუღებულს წყალსა და პურს. 11 ივლისს მიხეილის ხიდზედ ერთს მაღაზიაში გაიმართა კიდევ ერთი უფასო საჩაიე ბ-ნთ ასატუროვისა და აკოფოვის შეწირულებით.

*** 8 ივლისს ნავთლულის სამხედრო სამკურნალოში მიიყვანეს საეჭვო ავადმყოფი მაჰამედ აბაშვილი. ამ ეამად აღმოჩნდა, რომ აბაშვილი ქარებითა ყოფილა ავად და არა ხოლერით.

*** ტფილისის პოლიცმეისტერს 4 ივლისიდამ 12-მდე შემდეგი შეწირულება მიეღია უფასო საჩაიებისთვის: ვოლფზონისაგან—5 მან., ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისაგან 100 მან., რკინის გზის სასტატისტიკო განყოფილებაში მოსამსახურეთაგან—12 მან. და 55 კ. თამამშოვის ქარვასლის მახლობელ ბაღში 6 ივლისს ყულაბიდგან ამოიღეს 40 მან. და 30 კაპ., ბ. ე. ბეეანოვისაგან 10 მან., სახლის აეეკნისა და დურგლების ამქრისაგან 27 მან. [illegible] კაპ., ტფილისის სამხედრო სამკურნალოს მოხელეთაგან—33 მან., სამხედრო სატოპოგრაფიო განყოფილებისაგან—17 მან. და 87 კაპ., ვ. გ. ღარიბოვისაგან—10 მან., მკურნალ ვერმიშევისაგან—5 მან., მ. შესტაკოვისაგან—4 მან., ე. ბელიავსკაისაგან—10 მან., ა. სემენნიკოვისაგან კოჯორში, ინსტიტუტის ეკკლესიაში წირვის შემდეგ შეგროვილი 49 მან. და 20 კაპ., კნ. ა. გაგარინისაგან—100 მან., ფოროსტიანოვისაგან—3 მან., ი. გ. გარსოვევისაგან—10 მან. და ა. მინოვისაგან—50 მან., ა. ხუდავერდო

მკურნალოში გაიგზავნონ ხოლმეო. გოლბეკმა ტფილისის პოლიციმეისტერსაც აცნობა, რომ მიხეილის სამკურნალოში ხოლერიან ავადმყოფთათვის ადგილი აღარ არისო.

*** ტფილისის მოურავმა მკურნალის დეზინფექტორის გარდა კიდევ 5 მკურნალს დაავალა დეზინფექციის მოხდენა. ტფილისში ეხლა 6 მკურნალი-დეზინფექტორი იქნება და ამავე საქმისათვის 10 ფერშალი და 20 კაცი მოსამსახურე.

*** მომავალს კვირას ტფილისში მოელიან პეტერბურგიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორს ბ-ნს რაგოზინს, რომელიც ხოლერას წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად არის გამოგზავნილი კავკასიაში.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას კიდევ მოსდგა დამშეულთა სასარგებლოდ მეორე ლატარიის ბილეთები და მხოლოდ 30 ივლისამდე გაიყიდება.

*** როგორც მკითხველი ჰნახავდა ჩვენს გაზეთში, ქალაქის მოურავმა განცხადებით მიჰმართა საზოგადოებას, რომ ვისაც სურვილი აქვს ნივთიერად დაეხმაროს ხოლერისაგან დაზარალებულთა ოჯახებს, შეუძლიან ფული წარადგინონ ქალაქის გამგეობაში და ამ ფულით შემწეობას აღმოუჩენს ქალაქის მოურავი გაპირვებულთ შედეგებისამებრო. 13 ივლისს პირველად გაიმართა ამ გვარი ხელმოწერა და პირველ დღესვე შემოიტანეს ათას ორას თექვსმეტი მანეთი. აი სია შემომწირველთა: ქალაქის მოურავმა თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკმა—500 მანეთი, გენერალ-ლეიტენანტმა თავ. ხოჯანასოვმა—10 მანეთი, ი. ს. ბაბოვმა—200 მან., ფრანგთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ—500 მან., კნ. ვ. ე. თუმანიშვილისამ—3 მან. და ქ-ნმა ე. ე. ბატიევსკისამ—3 მან.

*** თანახმად მეთერთმეტე სასანიტარო რაზმის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის სარჩიელისა, ქალაქის მოურავმა დანიშნა ერთი ფერშალი სოფ. ავჭალაში, რომ უპატრონოს წყალსა და ამ სახით სათავე ქალაქის მილის წყლისა შეძლებისამებრ უზრუნველ ჰყოს ხოლერის ბაცილებისაგან.

*** ჩვენ მოგვივიდა ქ. ოზურგეთიდგან კ. თავართქილაძის მიერ მეორედ გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი“. წიგნში ჩართულია შოთა რუსთაველის სურათი და ვახტ. ორბელიანისა, აკ. წერეთლისა და დ. მაჩხანელის ლექსები რუსთაველის შესახებ.

*** ტფილისის ებრაელთა საზოგადოებამ 500 მანათი შეაგროვა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ფულით მოწვეულნი იქნებიან ფერშლები და წამლებს იყიდიან.

*** ბაქოს მოურავი დეპეშით იუწყება: „ვასრულებ ზოგიერთაგან გამოგზავნილს თხოვნას და ვაცხადებ, რომ ხოლერის წინააღმდეგ ბაქოში მოწვეული სტუდენტები და მკურნალები ყველანი კარგად არიან. მკურნალი არხანგელსკი ყვანისაგან გარდაიცვალა. ბაქოში ხოლერა განელდა“.

*** ყარაფეტ: საჩხერეს გზაზედ შავის ქვის გადატანა შესწყდა.

*** დ. ნაგომარი: დიდი ხანია, რაც ნაგომარს ბედი გაღრისხდა და აღარა სწყალობს. ბევრ ნაირად დაქცევიდა ამისა და იმის გარშემო მკვიდრთა კეთილდღეობა. ერთად-ერთ ცხოვრების სახსრად დარჩენია მხოლოდ ბაზრობა, რომელიც ამ თთვეში იმართება და თოთხმეტს დღეს გრძელდება. წარმოიდგინეთ, რომ ამ ბაზრობის წართმევაც მოუნდომეს ნაგომარს ოზურგეთელებმა, მაგრამ ვერ მოახერხეს. რადგანაც ეს ვერ მოახერხეეს, თითონ ითხოვეს ნება ბაზრობის გამართვისა ოზურგეთში და თან ტყუელი ხმები გაავრცელეს, რომ ნაგომარის იარმუკა ოზურგეთშია გადმოტანილიო. არ ვიცით, რა ანგარიში აქვთ ოზურგეთელებს, როცა ამას ასე სჩადიან, ხოლო ის-კი ყველასათვის საცოდნელია, რომ ასეთი ქიშპობა უკარისი საქმეა და ტყუელის ხმების გავრცელება კიდევ უარესი. ნაგომარის იარმუკა წელსაც ისევ ისე გაიმართება, როგორც აქამდე იმართებოდა და ოზურგეთის ახალი იარმუკა ვერავერს ვერ დააკლებს.

*** ყარსი: გუმბრის მაზრის სოფელ დიდ კარაკლისის, ბამბაკის განყოფილების, სასამართლოს ბოქაული, ვლადიმირ მათეს ძე შიუკაშვილი წარსულს თიბათვის თთვეში მიდიოდა აღმასრულებელის ფურცლის აღსრულებაში მოსაყვანად მთაში, თთარების სოფელში. თთარების გაღლეავრების გომბეში უეცრად შეეჩეხა გამოჩენილს ავაზაკს „მეხტი-მუსტაფა-ოღლის“, რომელსაც რამდენიმე წელიწადია დაეძებს პოლიცია. „მეხტი-მუსტაფა-ოღლიმ“ დაინახა თუ რა სასამართლოს ბოქაული შიუკაშვილი, ჩაფრებით მიმავალი (რადგანაც იმ საშიშს ადგილას უჩაფრებოდ გავლა ძალიან საშიშია), ეგონა, ჩემს დასაჭერად მოდიანო, და მაშინვე საფარისკენ მოჰკურცხლა. მეხტი-მუსტაფა-ოღლიმ თავის გაქცევით ბოქაულთან მიმავალს ჩაფრებს აღდო ააღებინა და ესენიც დაედევნენ. ავაზაკმა აილანის თოფით დაუწყო სროლა და ჩაფრებმაც პასუხი აძლიეს. შეიქმნა ორივე მხრივ საშინელი შილინგი თოფებისა. რამდენსაც საათის თავ-განწირულის სროლის შემდეგ ორივე მხრივ, „მეხტი-მუსტაფა-ოღლის“ შემოაკლდა წამალი და შესწყვიტა სროლა. ჩაფრებმა თითრუულად დაუძახეს: „ნუ შემოგვაკლავ თავს, დაგვნებდიო“. ავაზაკმა დაჰყარა იარაღი და დამორჩილდა. მიუახლოვდნენ თუ არა ავაზაკს, იცნეს ჩაფრებმა, ვინც იყო. ბ-ნმა შიუკაშვილმა შეკრული ავაზაკი თავის აილანის თოფით და სხვა იარაღით წამოიყვანა და ჩააბარა კარაკლისში პოლიციას, რომელმაც ავაზაკი სიპყრობილეში ჩაახბრძანა. ავაზაკის მამასა და ძმებს ბევრი ეთხოვნათ ბოქაულისთვის დაეტრილის ავაზაკის განთავისუფლება ჯერ ისევ გზაში, სანამ პოლიციის ჩაბარებდნენ, ფულიც-კი ეძლიათ, მაგრამ შიუკაშვილს არ ეჭნა. ბ-ნი შიუკაშვილი ეხლა დიდს შიშში იმყოფება, „ავაზაკის მონათესავეებს ვერ გადავურჩები ცოცხალი, უსათუოდ მომკლავენო“. მართლაც, დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რადგან ჯავრის ამოუყრელად არ დასტოვებენ.

*** ცხინვალი: ცხინვალი დიდს ფაცა-ფუცშია, მეხის დამცემ სტუმრის შესახვედრად ემზადება და იმახის: „მართალია, ხორბალი ნაკლებად მოგვდისო, მაგრამ ხოლერა-კი მოტორტმანიშო“. ადგილობრივმა პოლიციამ იმისთანა ღონისძიებანი მიიღო, რომ გვესაოუება, რომ ხოლერას აქ მოსახილველად კარი გაეღოს: იმისთანა სიწმიდესა და სისუფთავეს, როგორიც აქ არის, იშვიათად ჰნახავს სადმე კაცი. ვაჭრებიც ისე დაფრთხილებულნი არიან, რომ ველარაფერ მავნებლის ყიდვას და გაყიდვას ვერა ჰბედავენ ჩვეულებისამებრ. დღესაკი დიდის შიშით მოიფინა ცხინვალი, რადგან ხმა დადის, რომ სოფელს დირბში, რომელიც ცხინვალიდგან თორმეტს ვერსზეა (სურამის საბოქაულოში), ვითომ ხოლერა გაჩნდაო. დღეს გაემგზავრა იქ მკურნალი ბ-ნი ცისკარაშვილი და არ ვიცით, რა ამბავს მოგვიტანს.

*** ხოლერის გამო ტფილისიდგან ბევრი მუშა ხალხი წავიდა თავ-თავიანთ სახლში. ამიტომ ზოგიერთი მუშაობა შეჩერებულია. დღიური ფასი მუშებისა 80—90 კაპიკამდეა („Нов. Обоз.).

*** იგივე გაზეთი იუწყება: სასანიტარო დასების განკარგულებით ტფილისის სახლების ეზოებში გამართულს ჭეს დროებით ყველას დაჰხურავენ.

*** ბაქოდგან ტფილისს წამოვიდა სასანიტარო მკურნალი გრეჩანინი, რომელმაც თავისს მოვალეობას თავი დაანება („Т. Л.“).

*** გაზეთი „Каспій“ იუწყება: ბაქოს სადგურის ერთს მოხელეს ოღლაც „ხოლერის წინააღმდეგი“ წამალი გამოუგზონია და ბოთლს 1 მან. ჰყიდის. ხალხი ამ წამალს ძლიერ ეტანება. საკვირაოა, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ ამბავს.

ბაქოში საიდგანღაც არა მკითხე კომისარი გამოჩნდა. იღლიაში რაღაც ქაღალდები ამოეჩარა, დადიოდა ქუჩა-ქუჩა და სახლის პატრონებისაგან ფულს აგროვებდა ვითომ-და ქუჩების ნავთის მორწყვისათვის. ამ „კომისარის“ საუბეტროდ, ერთმა სახლის პატრონმა ქალაქის გამგეობას მიმართა და ჰკითხა, რის გამო დაგვაწერეთ ეს ახალი გარდასახადიო? იქ აღმოჩნდა, რომ ქალაქის გამგეობას არავითარი გარდასახადი არ დაუწესებია და ის „კომისარი“ თავის საკუთარ ჯიბისთვის ჰკრეფდა თურმე ფულებს.

ბაქოში ეს არის ეხლა მოგვივიდა ტფილისიდგან ეტლები ხოლერიან ავადმყოფთათვის.

*** 12 ივლისს ლაბორატორიის სლაბოდკაში აღეკსანდრე კოლოშინმა თავის მოსაკლავად ყელში გახსნილი წუმწუმა დალია, კოლოშინი სამკურნალოში წაიყვანეს საექიმოდ

*** ამავე დღეს სამღებრო ქუჩაზედ ბაგრატ ივნანტისოვი სიმთვრალის დროს ალექსანდრე ბებედურიძეს წაეჩხუბა და დანით დასჭრა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

ნუსხა

იმისი, თუ რამდენი გახდა ავად და რამდენი გარდაიცვალა ხოლერით ტფილისში 2-დამ 8 ივლისამდე

(ოფიციალურად შეკრებილის ცნობით)

თთვე და რიცხვი	სამკურნალოში ავად.	სამკურნალოში გარდ.	სამკურ. მიბრუნ.	სამკურ. დარჩ.	სამკურ. გარეშე ავად.	სამკურ. გარეშე გარდ.
2-ივლისს დილით სამკურნალოში იყო	—	—	—	17	—	—
ივლისს 2-ს საპატ.	7	3	1	20	1	—
					1	—
3-ს	5	2	4	19	1	1
4-ს	5	1	1	22	3	1
საპატ.					3	1
5-ს	3	3	—	22	7	5
საპატ.					1	—
6-ს	8	4	5	21	5	4
საპატ.					2	1
7-ს	7	—	2	26	9	6
სამხ. სამ.					1	—
8-ს	3	5	4	20	2	—
სამშ. სამ.					6	1
სულ . .	38	18	17	20	40	20
საერთოდ	—	—	—	—	78	38

სულ, ხოლერის დაწყებიდგან, ესე იგი 11 ივნისიდგან, ტფილისში ხოლერით ავად გახდა 157, გარდაიცვალა 76.

სახელდახელო

(ყბად-ასაღები, წყალ-წასაღები ამბავი)

იმ დღესაცა ვსთქვი და დღესაც ვიმეორებ, რომ დიდად უსამართლონი არიან ჩვენი გაზეთები ამ ბ-ნ მაჩაბლებისა და მათ მიერ წამძღვარებულ ოპოზიციის მიმართ. ერთი აიღეთ № 2938 «Новое Обозрѣніе»-სი და გასინჯეთ ბოლო ამ უცნაურის გაზეთისა. სწორეთ გაზეთის ბოლოშია მოქცეული საკვირველებით სავსე, ჩინებული წერილი ბ-ნ მ. ვ. მაჩაბლისა. აბა ამასა ჰქვიან, აი: „საბრალო ბერი ქედანი ბოლოზედ მოიგდიანო.“ ერთი გადაათვალიერეთ ეს გაზეთი ამ ოთხის წლის განმავლობაში და სინიდისის ქვეშ მითხარით, როდისა ჰღირსებია „Новое Обозрѣніе“-ს ასეთი წერილი, რომ აუღია და ბოლოში მოუქცევია იგი!.. მაგრამ არა, ღვთის წინაშე, ამისთანა მაღალ ღირსების სალიტერატურო ქმნილებანი ერთხელ-ორჯელ კიდევ შეგვხვედრია ამ გაზეთში და ის ქმნილებანი ეკუთვნოდნენ ძრიელს კალამს ბ-ნ მ. ვ. მაჩაბლის სულის ჩამდგმელის თ. ი. გ. მაჩაბლისას და, როგორც მახსოვს, ის ქმნილებანიც მგონი გაზეთის ბოლოში იყვნენ მოქცეულნი... ჰო, ამას ვამბობდი: როდისა ჰღირსებია-მეთქი „Новое Обозрѣніе“-ს ასეთი ჭკვიანი, ნაზი, თავ-მდაბალი და თანაც თავ-დაჭერილი წერილი, როგორიც ბ-ნ მ. ვ. მაჩაბლის წერილია, და რად მოუქცეია ბოლოში!— სიშურით, ბატონებო, სიშურით, თორემ როგორ დავიჯერო, რომ რედაქციაა იმდენად მაინცა არ იყოს განვითარებული, რომ შეეძლოს ნაწერის დაფასება და მისის ღირსების დანახვა. ეს წერილი რომ სხვა გაზეთს ჩაჰკარდნოდა ხელში, სიხარულით ფეხზედ აღარ დადგებოდა, ზედ გაზეთის შუბლზედ გააყრაედა ბაირაღივით და თავ-მოწონებული აივლიდა და ჩაივლიდა ჩოჩო-ბაზარში. „Новое Обозрѣніе“-ს კი არა თუ გაზეთის ბოლო ურგუნებია ამ სალიტერატურო ქმნილებისათვის, არამედ, როგორც წერილის სათაური ჰღალდებს, რედაქციას სრულებითაც არა სდომებია მისი დაბეჭდვა და, თუ დღეს ქვეყანა გაბედნიერდა მისის წაკითხვით, ამ ბედნიერებას ეღირსა მხოლოდ საცენზურო კომიტეტის გარდაწყვეტილებით, რომელმაც აიძულა გაზეთი, რომ გამოეაშკარავებინა საქეყნოდ ეს ღირსშესანშნავი წერილი.

ასეა თუ ისე, ჩვენ დღეს გვაქვს სალიტერატურო ქმნილება ბ-ნ მ. ვ. მაჩაბლისა და, რასაკვირველია, ვტკბებით. ვტკბებით ჯერ ამ საკვირველის ნამოქმედარის ღირსებით და მეორედ კიდევ იმითი, რომ დღემდე ჩვენ ვიცნობდით ბ-ნს მ. ვ. მაჩაბელს, როგორც დაუცხრომელს, მეკრმეტყველს და ტკბილს მოლაპარაკეს, ნაფიცს ორატორს საზოგადო კრებებზედ, — აბუმენ ნუ იტყვით, იგი არა ნაკლების მეკრმეტყველობის და რიხიანის კალმის კაციაც ყოფილა. მტრის ენა, მართალია, ამბობს, ვითომც ბ-ნ მაჩაბლის ლაპარაკი თვით კამბეჩსაც-კი გულს შეუდონებს, „ნერვებს“ მოუშლის და თავს მოაბეზრებსო, მაგრამ მტრის ენას რა ბაკი აქვს! ჩემის აზრით, რაც ბევრს ალაპარაკებთ ამისთანა მოღვაწეს, მით უკეთესად შეიტყობთ მისის აზრის სიძლიერეს, მისის გრძნობის სიფაქიზეს, მისს გულწრფელობას და თავგანწირულებას. ეხლა ვხედავ, რომ ფერაშიაც ისეთივე ძალუმი ყოფილა, როგორიც ლაპარაკშია. მაშასადამე, რაც ბევრს დაეწერინებთ, მით უფრო დაახლოვებით შეიგნებთ ზემო-აღნიშნულ თვისებათა და, რასაკვირველია, ხშირად დასტკბებით.

ვინც რა უნდა სთქვას და მე-კი იმ აზრისა გახლავართ, რომ ბ-ნი მ-ჩაბელი ის კეთილნი ვარსკვლავია, სამშობლოს კამარაზედ ამოზრდილნ-ვალებული, რომელიც ჯერ მარტო შორსა და ბუნდოვან ბეუტაეს, მერე თანდათან გვიახლოვდება, აცისკროვნებს მიდამოს, და თქვენა ჰნახავთ, როცა ბოლოს მოიქნევს, რა სინათლეს მოჰფენს ჩვენს წყვდიადით მოცულს ცხოვრებას! მაშინ მაინც ხომ უნდა დადუმდეს მტრის გესლიანი ენა, და არა სჯობია ეხლავ გიგოლოთ ჩემი წინასწარმეტყველება და ეხლავე, თქვენ თავადვე ჩამოეცალნეთ ამ მშვენებას ჩვენის სამშობლოისას!

ვთხოვ მკითხველს მაპატიოს ასეთი ალტაცებული კილო. მე ისე ალმაფროთოვანა ბ-ნ მ. ვ. მაჩაბლის გასაშტერებელმა წერილმა, რომ გრძნობიერებაში ჩავვარდი და სრულებით დამავიწყდა თვით წერილის შინაარსის გარდმოცემა. მაგრამ ესეც რომ არა ყოფილიყო, როგორ მოვახერხებდი მის გარდმოცემას. ის წერილი-კი არა, ზღვაა, თვალ-გადაუწვდენელი ზღვა, რომელშიაც უძირო და ღრმა აზრები ჰელავენ და ზვირთს ზვირთზედ აჯახებენ, ადის წინწკლები ქაფისა, რომელიც გაავქს და გამოაქეს ქარიშხალს აქეთ-იქით. მე იცით, ვინა ვარო! ის კაცი ვარ, რომელსაც დღესაც ვერ გამიგია, რატომ არ მალაპარაკეს დრამატიულ საზოგადოების კრებაზეო. მე ის კაცი ვარო, რომელიც ერთ-ხმად ამოირჩიეს წევრად ამ საზოგადოებისაო. მეო, მე... ის კაცი ვარ, რომელსაც общественный противникъ-ები გარს მახვევიან და მარტო ენის წვერის დატოკებით ვიცილებ თავიდგანაო, და სხვანი, და სხვანი.

აბა ამისთანა კაცთან რა უნდა გააწყონ რაღაც მეგზურებებმა, ვიღაც გ. ყიფშიძემ და ჭრელაშვილმა, რომელნიც გადაჰყოლიან საცოდავს „ივერიას“!.. ისეც თავიანთვის ეყარნენ,

ის ურჩევნიათ. აბა რა ხელს მისცემთ დატოლება იმისთანა გმირებთან, რომელთაც общественный противникъ-ები ბუზებივით ეხვევიან გარს. აბა ან გ. ყიფშიძესა და ან ჭელა შვილს ვინ მიაქვავთ общественный противникъ-ები...

?

ლაბა ლ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ᲙᲐᲙᲐᲑᲔᲗᲘ. 3 ამ თვისას გვეწვია ხოლერა. ტფილისიდგან ერთი ბერიოშვილი, რომელიც იქ რკინის გზის სადგურზედ მუშაობდა, 2 ამ თვისას მოვიდა სოფ. კაკაბეთში, მეორე დღეს გახდა ავად ხოლერით და ოთხს საღამოთი გარდაიცვალა. ხალხი შეშინდა. 6 კიდევ გახდა ავად მისი რძალი. აცნობეს ველისციხის ექიმს მიტროფანოვს და აღგილობრივს ბოქაულს თ. ლ. ანდრონიკაშვილს, რომელთაც ხანი აღარ გაატარეს და დაუყოვნებლივ აცნობეს, სადაც ჯერ არს. მოსკოლისათანავე შეუდგნენ დეზინფექციას. ავადმყოფს, რომელიც საშუშ მდგომარეობაში იყო, მისკეს წამალი, დასწვეს მისი ქვეშაგები, თითონ ავადმყოფს გამოუცვალეს საწოლი, სახლის ეზო გასუფთავეს, დასახეს ნავთი და მოუკიდეს ცეცხლი. ხალხი ისე იყო შეშინებული, რომ სულ არ უდგებოდნენ, ეზოშიაც არ შემოდიოდნენ. მამასახლისი ისე შეშინდა, რომ დღესაც ვერ მოსულა გონზედ და ქვეშაგებში წვეს გაბეცებული. ვაკაცურმა გამბედაობამ ბოქაულისამ ხალხს შიში გაუფანტა. მისცევდნენ და ყველა დასაწვესს ავეჯს, პირჯვრის წერით და „ღმერთო გვიხსენის!“ თქმით, სულ ერთს საათში მოუღეს ბოლო. ამავე ბოქაულის განკარგულებით, წინადვე გასუფთავებული სოფელი უკეთ გასუფთავეს. სამაგალითოდ დაიწყო სასანიტარო საქმე ბოქაულმა, ყველა მეკომურს ერთის დღის განმავლობაში გაათხრევინა ფეხის-ადგილები, თითო სიმაღლით საჟენ ნახვერი. ხუთი ცხენოსანი კაცი დღე და ღამ დაიარება სოფელში და მეტადრე მანდილოსნებს აგვევინებენ ეზოს და გზებსაც. წყალზედ, საიდამაც ხალხი იღებს წყალს, დაიყენა დარაჯები, რომელიც დღე და ღამ აფეიზებენ ნავებს, საქონელი და სხვა სოფელ გარეთ გაარეკინნ.

მეორე დღეს, სამშაბათს, მობძანდა სილნაღის მაზრის უფროსი ბ-ნი ᲗᲐᲜᲘᲔᲚᲘ და თარჯიმანი მაზრის სამმართველოსი ბ-ნი ი. ქიტიაშვილი. მაზრის უფროსმა თან მოიტანა წამლები, ჩაი და კონიაკი. იმავე საათს ამათ ინახულეს ავადმყოფი. მიტროფანოვი პირზედ ღიმილით გამობძანდა და წარმოსთქვა: „პირ-საქმობასა და ფაღარათობას გაუვლია, ხოლო მეტად სუსტად არის და იქნება გამობრუნდესო“. იმ წამსვე მაზრის უფროსის ბრძანებით გაუკეთეს ჩაი და კონიაკით დაალევინეს, მაგრამ ამდენმა ცდამაც ვეღარა უშველა-რა და ეს ავადმყოფიც სალამოს ექვსს საათზედ გარდაიცვალა. მაზოის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, რომ ამის სახლი უნდა დაწვათ და თქვენ, ახლო მეზობლები, უნდა 7 ან 8 დღემდის მოშორებით იცხოვროთო. ამის შემდეგ მოახდინეს განკარგულება, რომ სახლი ბეროშვილისა დაიწვასო და ახლო მეზობლები მისი 8 კომლი გადაასახლა სოფელ ზეკვი, ტყეში, სადაც წმ. გიორგის ეკლესიაა 7—8 დღით, რომ სენი მთელს სოფელს არ მოედოს. გახიზნულებს მღვდელმა გადაუხადა პარაკლისი და მისცა ჯეროვანი დარიგება. მაზრის უფროსმა მღვდლების დახმარებით აუხსნა ხალხს, რომ ჭორები ნუ გჯერათ, აი თქვენის თვალით ხედავთ, რომ ავადმყოფს არცა სწვავენ და არც ძალად სწამლავენო და პოლიციაც და მკურნალიც თქვენის ჯანმრთელობისთვის ჰზრუნავენო.

ᲔᲚᲘᲖᲐᲒᲔᲗᲘ, 29 იანვარი. ქალაქ სილნაღში ბევრი მოვაკრე ხალხი და ხელოსანი სცხოვრობს. ესენი განიყოფებიან რამდენსამე ამქრად და ყველასა ჰყავს თავ-თავიანთთვის ამორჩეული უფროსი (უსტაბაში), ორი ასაჰყალო და ერთიც იქითბაში (გზირი). ესენი აწარმოებენ ამქრის საქმეს, არჩევენ საჩივრებს, დამნაშავეს ჯარიმას ახდევინებენ, ყოველ-შესრულებულს შეგირდებს ჰლოკავენ, რომელნიც 5—15 მანათამდე იხდიან ამქრის სასარგებლოდ, და სხვ. ამ გვარი შემოსავალი ბევრი აქვს ამქარს. ყველა ამქარს აქვს თავისი ბაირაღი (ერთის რომელისამე წმიდანის სურათით, უფრო მომტებულად წმიდა გიორგისა). ჩვეულებადა აქვთ, ყოველ წელიწადს შეიკრიბებიან ხოლმე ერთს რომელსამე ბაღში და გადაიხდიან საღმრთოს ზემოხსენებულ სამლოცველო და ჯარიმის ფულით და, გარდა ამისა, თითო მანათიც უნდა ამოიღოს ყოველმა ამქრის კაცმა საფსონოდ და ერთი ამაზიც საღმრთოს შესაწირავად. აი, ამ ფულით გაჰმართავენ ხოლმე „საღმრთოს“ და მთელი სამი დღე, ხან მეტსაც, დროებას ატარებენ. ისე გაიბრუტეტიან ხოლმე, რომ ხშირად ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ.

წელს გაიყარა ხარაზისა და ჩექმის მკერავი ამქარი. ჩექმის მკერავი ამქარი შესდგება თითქმის 40 კაცისაგან. ამათ არჩიეს და ითთბირეს ოთხის კაცის ი. ჯანიაშვილისა, ი. დავითაშვილისა, ა. მაკავარიანისა და გასპ. ხეჩოვის თაოსნობით და გადასწყვიტეს: ყოველმა ოსტატმა და იმათის ამქრის კაცმა უნდა გადაიხადოს თითეში 20 კ. (ვითომ ოთხი არაყი არ დაგვილევიაო) ამქრის სასარგებლოდ; ვინც ახალი დუქანი გამართოს, ერთი თუმანი „ნიახი“ გადაიხადოს, იოლი ხუთი მანათიც; კვირა-უქმე დღეს მუშაობისათვის, თუ ერთმა კაცმა იმუშავა, 50 კაპ., თუ მთელმა დუქანმა—ერთი მანათი, საჩიერების ჯარიმები და სხვ.

ეს ფული ისე უსაგნოდ და უაზროდ აღარ უნდა დაიხარჯოს, როგორც აქამდე იხარჯებოდა. ეს ფული შეაქვთ სილნაღის ხაზინის შემნახველს კასაში (ჯერ ორი თუმანი აქვთ). ამ ფულით ჯერ უნდა შეიძინონ ბაირაღი, შემდეგ: უნდა მოახმარონ თავიანთ ამქრის დაცემულს ოჯახს, უდროოდ დაუძლურებულს ხელოსანს, დამარხონ შეუძლებელი მიცვალებული და თეფშით აღარ ათხოვნინონ მის ოჯახს ფული დასამარხად, როგორც აქამდის იყო, გაათხოვონ თავიანთ ამქრის ობოლი და უქონელი ქალი, აგრეთვე მოიხმაროონ სხვადა-სხვა, საქველ-მოქმედო და საზოგადო, საქმეზედ, გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთები და იკითხონ ყოველ კვირა-უქმე დღეს და სხვ. ამას გარდა, უნდა წესად დაიდონ ესეც: ყოველს ბედნიერს დღეს, როდესაც-კი ზარი დირეკავს, უსათუოდ ეკლესიაში წავიდნენ და თაყვანი სცენ ღმერთს, სომეხთა სომხისაში და ქართველთა ქართველისაში. ვინც დაკლდება (თუ სხვაგან არ არის), ჯარიმა უნდა გადიხადოს ამქრის სასარგებლოდ. აქამდის, როდესაც ბედნიერს დღეს წირვა იდგა, ჩვენი ხელოსანი ღვინის სარდაფში იბრუტებოდა. ისე და ამ გვარად გაიღვიძა ფეხთსაცმელების ამქარმა, დაიწყო კეთილი საქმე, მიიტოვა ხარაზთ ამქარი და ამოირჩია თავისთვის უსტაბაში, სილნაღის სამოკალაქო სასწავლებელში ნასწავლი ყმაწვილი კაცი ა. გ. მაკავარიანი, ასაჰყალოებად გასპარ ხეჩოვეი და ივანე ჯანიაშვილი, იქითბაშად ნ. მკედლიშვილი. ღმერთმა ჰბძანოს, ამათი დაწყებული საქმე კეთილად წავიდეს, სხვა ამქრის ხალხსაც მიებაძოს ამათთვის და ადრინდელზედ ფული ღვინო-არაყზედ არ ეფლანგოთ. ეს ერთი თუთვე ამ ამქარში ასეთის წეს-რიგის დადგენა და, როგორც ზეკვითა ვსთქვით, უკვე 20 მან. შენახული აქვთ, რომელიც სულ არაყზედ უნდა დაეხარჯათ.

ეხლა ხელოსნები შემოდიან წიგნის მაღაზიაში მოკლილს დროს და, ლოთობის მაგივრ, სხვა-და-სხვა მწერლების ლექსებსა, პოემებსა, მოთხრობებსა და სხვ. კითხულობენ. ქართულს გაზეთებს ძალიან ერთგულად ადევნებენ თვალ-ყურს.

ი. შ.

სოფ. ᲛᲐᲠᲢᲧᲝᲤᲘ (ტფილისის მაზრ), 10 იანვარი. რომ იტყვიან, „საწყალს კაცს ქვა აღმართში მოეწვეთო“, წელს მარტყოფელებს სწორედ ასე მოუვიდათ. რაკი კალია თავიდგან მოიშორეს და თაგვიც წვიმებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და მხიარულად და იმედიანად შეჰყურებდნენ თავიანთ წლის ნამუშავარს, რომელიც მარაულაც კარგს იმედს აძლევდა საწყალს გლეხ-კაცს: მინდვრები სავსე იყო ხშირისა და ძვენერის თავ-თავ დაწმენდილის ყანებით და სასიამოვნოდ ჰფლავდა ზღვასავით; ვენახებსაც მშვენივრად ეხსა და შარშანდელზედ უფრო უხვს გამოსავალს ჰპირდებოდა თავისს პატრონებს... მაგრამ, დახე მუხთალს ბედს, ბუნებას თითქოს შეშურდაო საწყალისა და უქონელის გლეხისათვის ასეთი უხვი მოსავალი. 17-ს ივნისს საშინელი და გულ-საკლავი სეტყვა მოვიდა და სრულიად გაანადგურა მარტყოფის ქვეითა მხრის მიწები და ვენახები და, რაც საწყალმა გლეხმა თავგეგმა და კალიას გადაანარჩუნა, ისიც სეტყვამ გაუნადგურა და დასვა ცარიელზედ. მხოლოდ მარტყოფის ზემო მხარე-კი გადურჩა სეტყვას. ვენახები-ღა დარჩა ერთად-ერთ იმედად საწყალ მარტყოფელი გლეხისათვის.

ყველა ამას ზედ დაერთო საზოგადო დღიური ვარამი: საშინელის სეტის—ხოლერის მოლოდინი. მარტყოფიც სხვისის მიხედვით ძალა უნებურად შეუდგამზადებასამსაშინელისა და მოულოდნელის სტუმრის დასახვედრად. მარტყოფელები სხვებზედ ძალიან შეშინდნენ, რადგანაც ესენი უფრო ახლო არიან ქალაქზედ, სადაც უკვე ნასტუმრია ეს საშინელი სენი. ამ ცოტა ხანში აქა ბრძანდებოდა სართიპალის განყოფილების ბოქაული დ. ყ. ნაცვლიშვილი, რომელმაც დაათვალიერა ზოგიერთი სახლი და დუქანი; მედუქნეებს დაუწვა და გადაყარა უარგისი და გაფუჭებული თევზი და ხილი, დარიგება მისცა ხალხს, რომ სუფთად შეინახონ თავიანთი სადგომები და კარ მიდამო და ამასთანავე დაავალა ზოგიერთ პატივცემულ კაცთ, რომ იარეთ, დარიგება მიეცით ხალხს და თვალ-ყური ადევნეთ სისუფთავესაო. მაგრამ რა გამოვიდა, ყოველი ეს ღონისძიება ღირსეულს ნაყოფს არ მოუტანს საზოგადოებას, რადგანაც უვიცი და განუვითარებელი გლეხ-კაცი ცრუ-მორწმუნოებასა და სხვა-და-სხვა ჯორს უფრო მისდევს და იჯერებს, ვიდრე ჭკვიანურს დარიგებას მკოდინარისაგან.

ხალხში ხმა არის გავრცელებული, ვითომ ქალაქში პოლიციელები ძალიან იჭერენ და მიჰყავთ სამკურნალოში არამც თუ მარტო ავადმყოფები, კარგად მყოფებიც-კი, სადაც ექიმები ასმევენ საწამლავს და ჰხოცავენო, ხოლო მკვდრებს-კი სწვავენო. ეხლა სოფლებშიაც უნდა გამოვიდნენ ექიმები და ვისაც-კი ძველი ლოგინი ანუ სხვა ავეჯი აბადია, სულ ერთიანად უნდა გადაუწვანო. ამისთანა ჯორებით ისე არის დაშინებული ხალხი, რომ როდესაც-კი თვალს მოჰკრავენ სერთუკიანსა და შლიპპინს კაცს, ექიმი ჰგონიათ და იმალებიან, რომ სახლი არ გაგვისინჯონ და ან საწამლავი რამ არ დაგვალევინონო. თუმცა ჯერ-ჯერობით აქ მშვიდობიანობა არის, ღვთის მადლით, მაგრამ თუ ერთი ეწვია მარტყოფს ეს სენი, რაც ძალიან ადვილად შესაძლებელია, რადგანაც ქალაქს ახლო მდებარეობს და მუდამ დღე ქალაქიდგან წამსვლელ-მომსვლელები არიან, აქაურებს ყურის-მგდებელი არავინ არ ეყოლება: ამოდენა სოფელში, რომელშიაც 900 კომლი ირიცხება, არამც თუ ექიმი, ერთი ფერშალიც არ მოიპოვება.

კვირას, 5-ს ამ თვისას, მარტყოფის ბლაღოჩინის მ. პ. ებიტაშვილის განკარგულებით მთელის მარტყოფის სამღვდელოება მწირველი იყო მარტყოფის ტაძარში. წირვის შემდეგ გადიხდეს პარაკლისი თვით ტაძარში და აქედგან მთელი სამღვდელოება ჯვრებითა და ხატებით გამეგზავრა სოფლის გარეთ და სოფლის ოთხსავ მხარეს პარაკლისი გადაიხადა.

გ. კ.

რუსეთი

როგორც მკითხველებმაც უწყიან, ასტრახანს გარდა, უწესოება მოხდა სარატოვშიაც. გაზ. „Саратовскій Листъ“-ში დაბეჭდილია წერილი მღვდლის ტრინიტატესისა, რომელიც 28 ივნისს მომხდარს უწესოებას დასწერებია. აი რასა სწერს მ. ტრინიტატესი:

„კვირას, 28 ივნისს, დილის 9 საათზედ, მე, მღვდელი თევდორე ალექსანდრეს ძე ტრინიტატესი, მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოსის ბრძანებით, მივედი საქალაქო დემიდოვის საავადმყოფოში, რათა დარიგება მიმეცა ავადმყოფთათვის, და ათ წუთამდე ველოდი, ვიდრე ხოლერიანს ავადმყოფებს დეზინფექციას გაუკეთებდნენ, რომ იმათთან მისვლა საშიში აღარა ყოფილიყო ჩემთვის. როდესაც ყოველივე დაამზადეს, შევედი ავადმყოფებთან და მინდოდა მეზიარებინა. ზიარების მიღების შსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ იძულებული შევიქმენ 11 საათამდე დავრჩენილიყავ. როდესაც უკანასკნელი ავადმყოფი ვაზიარე და გამობრუნებას ვაპირებდი, დიდი ხმაურობა გავიგონე იქვე საავადმყოფოს ახლო-მახლოდგან. პირველში ვიფიქრე, ცეცხლი თუ გაჩნდა სადმე-მეთქი, მაგრამ ამ დროს ქუჩაზედ დავინახე მთელი ბრბო მოკიკინე პატარა ბიჭებისა, რომლებთანაც იყვნენ დიდრონი კაცები და დედაკაცებიც. ეს ბრბო ხალხისა საავადმყოფოს უახლოვდებოდა, რაღაცა, ჩემთვის გაუგებარის, აზრით. სიჩქაროდ შევკრიბე წმ. ნაწილები. ამ დროს საავადმყოფოს ფანჯრებს ქვები დაუშინეს. შემეშინდა, არ დამჭრან-მეთქი, და ბოძს ამოვეფარე, მაგრამ რაკი დავრწმუნდი, ბოძი ვერ დამიფარავს-მეთქი, ეზოში გავედი, სადაც ხალხი შემომეხვია. ხალხიდგან ხმაურობა შემომესმა: „აი ეს სწორედ ის არის, რომელიც ცოცხლესა ჰმარხავსო“. ამას შემდეგ რამდენიმე კაცი მივიდა საავადმყოფოს მოსამსახურესთან და ყვირილი დაუწყეს: „მოგვიყვა ეხლავ აქ ექიმი და ფერშალიო!“ იდგილი რომ დაიცალა, ქუჩაში გავედი. ზოგიერთი დედაკაცები ამბობდნენ, „გაატარეთ მოძღვარი, წმ. ნაწილები მიაქსო“. გავყავ თუ არა თავი ქუჩაზედ, უფრო დიდძალი ხალხი შემომეხვია. ამათში ერთი ვითომ-და ცოცხლივ დამარხულიც ეერია. „აი ის მღვდელი, რომელმაც დამმარხაო“, დაიძახა მან. მიეუბრუნდი და ვკითხე: „მერე მიცნობ-კი-მეთქი?“ ხალხის ბრბოს, როგორც ეტყობოდა, იმისი სიტყვები უფრო სჯეროდა, ვიდრე ჩემი. „შენ დამმარხე, შენო, განიმარა უცნობმა: აი, ხომ ჰხედავ, ეს არის ეხლა წამოვდექი საფლავიდგან!“ ვუპასუხე: „თუ ეს არის ეხლა წამოდექი საფლავიდგან, მაშ მთვრალი რაღადა ხარ-მეთქი?“ როგორც იყო, განვთავისუფლდი ამ ხალხისაგან, განვაგრძე გზა, მაგრამ უკან ხალხი მიინც მოდევდა და გაიძახოდა: „ქვებით, ქვებით ჩაჰქოლეთ ეკაო“. როდესაც მივიხედე, დავინახე, რომ საავადმყოფოს ცეცხლი ეკიდა და იწოდა. რის წვალებით მივაღწიე ყაზარმებამდე, სადაც ბატალიონის უფროსმა ცხენზედ შემსვა და ისე გამისტუმრა სახლში“.

დეპეშა

11 ივლისი

ᲙᲘᲔᲕᲘ. გამოცხადებულია განკარგულება უწ. სინოდისა იმის შესახებ, რომ სასულიერო მთავროებათ ღონისძიებანი მიიღონ, რათა ცუდი შედეგი არ იქონიოს და ყოველთვის აღსრულებული იყოს ხოლმე მთავრობის მიერ ნაბრძანები სიფრთხილე ხოლერის წინააღმდეგ. უწმ. სინოდის მეორე განკარგულებით გადადებულია ვიდა სწავლის დაწყებისა პეტერბურგისა და სხვ. ეპარქიების სასულიერო სასწავლებლებში, რათა ხოლერა არ შეეტანონ სხვა-და-

სხვა მხრიდგან სასწავლებლებში დაბრუნებულმა მოსწავლეებმა.

უკანასკნელს დღეებში ხოლერით გარდაიცვალა: კავკასიაში 506, გუბერნიებში: ასტრახანის—158, სარატოვისა—108, სამარასა—104, სიმბირსკისა—27, ყაზანისა—12, თურქესტანისა—112, დონის ოლქში—107, იმიერ-კასპიის მხარეს—48, სარაპულში—4, ვორეეჟ-როსტოვის რკინის გზის სადგურებზედ—3.

ბერლინი. პრუსია-რუსეთის საზღვარზედ სცდილობენ ლონისძიებანი მიიღონ რუსეთიდგან მოსული მგზავრების გასასინჯად და შესამოწმებლად, ავადმყოფნი ხომ არ არიანო.

12 ივლისი 40%

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა ახალი ქალაქის დებულება ტ რამდენიმე მუხლი საერო დებულებისა, რომელნიც შეუცვლიათ. საქალაქო დებულებას შემოიღებენ მთელს იმპერიაში თანდათან, გარდა პოლშის სამეფოისა, თურქესტანისა, იმიერ-კასპიის მხრისა და კავკასიის იმ ქალაქებისა, რომელშიაც არ ყოფილა შემოღებული დებულება 1870 წ. მომეტებული ნაწილი ცვლილებისა, რომელიც შეტანილია ახალს ქალაქის დებულებაში, გამოქვეყნებულია გაზეთების მიერ.

„Прав. Вѣст“. გამოცხადებულია, რომ ნიჟნინოვ-გოროდში ხოლერა გაჩენილა. 10 ივლისს ავად გამხდარა 15; კავკასიაში გარდაიცვალა 291, ასტრახანის გუბერნიაში 135, სარატოვისაში 126, სამარისაში 110, ტაშკენტში 16, სიმბირსკის გუბერნიაში 10, ყაზანისაში 8, ვორონეჟისაში—4.

ხელ-მეორედ მიეცა ნება გაზეთს „ნოვოროსსიისკის ტელეგრაფს“ გაჰყიდოს ცალკე ნომრები გაზეთისა.

ყაზანი. გუბერნატორმა ორის თვივთ დაატუსაღა გლეხი ნიკიტინი, რომელიც ემუქრებოდა ექიმს სპასის ზატონში.

ნიუ-იორკი. პიტსბურგიდგან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, რომ ერთი ახალგაზდა კაცი შევარდა თუმრე სპილენძის გასაკეთებელ ქარხნების დირექტორის ბიუროში, სამჯერ რევოლვერი ესროლა დირექტორს და მერე დანით დასჭრა. ბოროტ-მოქმედი შეიპყრეს, გვარად ბერგმანი; რუსეთიდგან მოსული ურიაა. ამერიკაში გაუტარებია 4 წელიწადი, სულ 21 წლისაა, ხელობით ასოთ-ამწყობია. დაპერილმა გააცხადა, რომ ნიუ-იორკიდგან განზრახა მოვედი და მინდოდა დირექტორის მოკვლა, რომელსაც ესთვლი მუშა ხალხის მტრადაო. პოლიციამ უპოვნა ბოროტ-მომქმედს ორი დინამიტის პატრონა, რომელიც ძლივს წაჰგლეჯეს ხელიდგან. ამბობენ, რომ ბერგმანს თავის თავის მოკვლა უნდოდა, ისე როგორც ჩაიდინა ჩიკაგოელმა ანარხისტმა ლინგმა 1887 წ. დირექტორი კარგად არის, ტყვეები ამოაცალეს.

იდეგოში გაგზავნილი ჯარები ბრუნდებიან, რადგან მშვიდობიანობა აღადგინეს. 300 აჯანყებული მუშა დაატუსაღეს. ბევრი მთებში გაიქცა.

პონტევედრო. ისპანიაში მოვაჭრე ქალებმა, იმის გამო, რომ ბაკი დაადეს სანოვაგეს, ქვები დაუშინეს მერს (ქალაქის მოურავს), გარეკეს პოლიციელები, გაძარცვეს ბაკის ბიურო. ჯანდარმებმა ალადგინეს წესიერება.

შეტერბურგის ბირჟა, 10 ივლისი

	ფონდებ. ბანკის.	ბანკნოტ.	ფონდებ. ბანკის.
	ფან. კ.	ფან. კ.	ფან. კ.
ნუთ-მანაფაიანი ოქრო	7,98	7,98	— ,,
ტამოჟნის კუპონები	155½	159¼	— ,,
ინეოანი გერცლის ფული . . .	1,08	1,09	— ,
% პირველის შინაგანის ხესნის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	235½
—მეორისა	— ,,	— ,,	221½
სასესლმწიფო თავადაზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	192½	193½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

გამოსაადეგი ცნობანი

ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . „ . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გაგდის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შვილის ნოვოროსსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შვილის უფროსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარეგ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოვილს ერჩსა და ნოვოროსსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, სალამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გადისასთს.

ფოთიდგ გადის:ნ

საფოსტო და სახალხო ოდესში და ყველა ნავთსადგურში შვილის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შვილს.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღვოდაც.

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება „ამხანაგობის“ მიერ გამოცემული

ჩანგი,

ახლად შედგენილი ვ. აბაშიძის მაერ ამ წიგნებში გადმობეჭდილია აგრეთვე პირველი ნაწილიდგან საუკეთესო სცენები და ლექსები

წიგნი შეიცავს 580 გვერდს.

ფასი 1 მანეთი.

ქალაქ გარეგ ისყიდება ამხანაგობის

აგენტებთან.

ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 18 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, დანშნულია ვაჭრობა საქალაქო მიწის იჯარით გასაცემად. ეს მიწა იმყოფება პოლიციის მეათე ნაწილში შემდეგ საზღვართა შორის: ჩრდილოეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით ქალაქის მიწებია ტ სამხრეთით—ჩავთუხის ხევი. მიწა სულ ოთხი დღიურია და გაჯის ამოსაღებად არის გამოსადეგი. პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის 9 საათიდგან 12½ საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

(3—2)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმეა დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 2 საათამდე. (150—73)

საკომერციო კურსები

(ტფილისი მთის ქუჩა, № 9)

ამით ვაცხადებ, რომ ამა წლის ივნისში ეს მეათედ შეასრულეს სპეციალური საკომერციო სწავლა მოსწავლე ქალებმა და ვაჟებმა იმ პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ, და მიეცათ კიდეც ჯერაოვანი მოწმობანი. ვისაც სურს საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი სამსახურში მიიწვიოს, შეუძლიან მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუელიანცს.

საკომერციო კურსებში მიღება დაიწყება 1 ენკენისთვიდგან. პროგრამისა და კურსების წესდების მიღება და დაბარება შეიძლება კურსების სადგომიდგან და ძმათა წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

რუსი მგელი

მოთხრობა ბ. ᲬᲐᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ

ფასი სამი შაური

წარმოება

ასფალტის სამუშაოთა.

ისყიდება

ასფალტი და გუდრონი

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიმმართონ შემდეგის ადრესით:

ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;

ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 ᲗᲗ. ᲗᲗ. სუხანოვს.

(15—15)

მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბამბისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

ბენდერ და სტეფანოვი

(35—56—36)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

ზადიგი

მოთხრობა ᲕᲝᲚᲢᲔᲠᲘᲡᲐ

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქვე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანირდამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ᲑᲝᲠᲐᲜᲘᲚᲘ“ და ჰღირს 40 კაპ.

ᲡᲐᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1892 წ. 1-ს ივნვრიდამ გამოვა ყოველდ-დე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვივთ. . .	10 მ.—კ.	6 თვივთ . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლელთან „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეგ მცხოვრებთ უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეგ ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვივის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვივის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრულდ ზეასსკენელი გვერდი 30 მანთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანთი. რიგსა სტრიქონებისა გამოინგარაშება ამის კვალობაზე, რამდენს სდგომსაც დაიკერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნონ. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულად, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვივის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეეს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ᲙᲣᲜᲐᲛᲨᲘ, ხიკოდოროზის ქუჩაზე, თავ. გრუზანსკისეულს სახლებშ. № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13-го Іюля 1892 г. სტამბა ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡᲘ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.